Тифлис [illegible] ул.
№ 1. С. М. Кикнадзе

109

საქართველოს სახ. საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

კვირა
15 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ: მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. **განცხადების ფასი:** ჩვეულებრივ პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 224 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 224

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთის ფასი: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, პარასკევს, 13 ნოემბერს, და კვირას, 15 ნოემბერს
მხოლოდ 3 დღით ახალი ფართო პროგრამა

ქრონიკა გომონისა. მიმდინარე ამბები.

განსაკუთრებით მხოლოდ მოზრდილთათვის სენსაცია!

ყველას ჩვენ გვწყურია სიყვარული

პიკანტური ფარსი 2 ნაწ., სახალხო ქალაქის არტისტების მონაწილეობით.

მილიონების გიჟნოზის გავლენის ქვეშ.

მე 15 სურია. პერლ ვიტტის მონაწილეობით.

შაბათს, 14 ნოემბერს გაიმართება **საქველმოქმედო სეანსები** ახალი პროგრამით.

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება **მონა**, თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება დაზღვევა ცეცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—გალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია **მ. ზ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძისასული**

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფი სალომე ოტიას ასული ბალავაძისა, გულდათუთქულნი შვილები მელქისედეკ, სერაპიონ, აგრაფინა (ლეჟავასი), პატკულია, ნადია და ნინო, რძალი მარიამ, შვილი-შვილი ხუტუნია ბალავაძეები და ალექსანდრე ზაქარიონის ძე ლეჟავა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებას, პირველი საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლისას, მეორენი უძვირფასესის მამისას, მესამე ძვირფასი მამამთილისას, მეოთხე ბაბუისა და უკანასკნელი ძვირფასი სიმამრისა

პავლე იაკობის ძის (იგივე ონოფრე) ბალვაძისას;

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 17 ნოემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე, სოფ. დანირში, საკუთარ სახლიდან.
პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე. 1—1

ძმები ზაქარია, ივანე და გრიგოლ ბუტულაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 15 ნოემბერს სომეხთა წმ. გიორგის ეკლესიაში ნაწირვების 11½ საათზე დანიშნულია წლის თავის პანაშვიდი სულის მოსახსენებლად, ძვირფასი დედის

ბარბალე სიმონის ასულის

ბუტულაშვილისა.

1915 წ.
ნოემბერი
15
კვირა

„ქართული დრამა“. № 21
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
ცნობილი ისტორიული პიესა

სამეგრელოს მთავარი ლევან

5 მოქმ.

ავტორი—ვ. ყიფიანი.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 1—1

ანონსი:
მზადდება
ელო. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ **„ბურუსი“**,
პერვაშიძის „გიორგი მესამე“.

„სორაპანის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული

კედლის კალენდარი 1916 წ.

შედგენილი გრ. **ჩარკვიანისა** და მ. **გაჩეჩილაძის** მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. **გაჩეჩილაძის** მიერ.

ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს.
5—1

გამოცდილი რეპეტიტორი **ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს** ყველა კლასის მოსწავლეებს შეღავათიან ფასებში.
მისამართი: „სამშობლოს“ რედაქციაში 6—5—5083

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 13 ნოემბერი. დასავლეთის ფრონტი. მიზი-ბერზემიუნდეს რაიონში გუშინ ბრძოლა გრძელდებოდა უშედეგოთ ორივე მხარესთვის. საღამოთი ბრძოლა მიწყნარდა. ვიდის ჩრდილოეთით სოფ. მინციემსთან მომხდარ ბრძოლაში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ტყის ნაწილი სოფლის სამხრეთით. მთელს დანარჩენ ფრონტზე რიგის ყურედან მდ. პრიპიატამდი და მდ. სტირზე სიწყნარეა. დოლეკის დასავლეთით როვნოსა და ლუცკს შუა მტერი შეეცადა წინ წამოწევას, მაგრამ, შეეშინდა რა გარშემორტყმის, უკან დაიხია თავის პოზიციებისკენ. ასევე უნაყოფოთ იყო მისი ცდა სოფ. ილინოვკასთან წინ წამოწევის შესახებ. ფრონტის დანარჩენ პუნქტებზე ჩარტორიისკის სამხრეთით და გალიციის ფრონტზე სიწყნარეა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

— —

(დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე 4 გვ.)

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

იტალიის პრესა.

Coriere d, italia“-ს ცნობით, ოთხთა შეთანხმების გამოსვლას ათინაში ულტიმატიური ხასიათი აქვს. ელჩებმა ათინის კაბინეთს წაუყენეს მოთხოვნილება უფრო გაბედული კილოთი, რომელიც მეფისაგან პირდაპირ გადაჭრილ პასუხს მოითხოვს. იტალიის ელჩმა ათინაში ბოსრადიმ შესაფერი ინსტრუქცია მიიღო რომიდან და შეუერთდა ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს. საბერძნეთის ორპირიანი პოლიტიკა გაცხარებულ მსჯელობას იწვევს იტალიის პრესაში და სასტიკი კილოთი აგონებენ ათინის მთავრობას, რომ მეფის სასახლე სულ 5 კილომეტრის მანძილზეა ზღვის ნაპირიდან, სადაც მოკავშირეთა ფლოტი სდგას და ყოველ მომენტში ათინას მოევლინება. გაზეთები ხაზგასმით აღნიშვნენ, რომ არა მარტო ათინა, თვით საბერძნეთის დიდი ქალაქები ვერ ასცდებიან მოკავშირეთა ზარბაზნების ყუმბარებსო.

საბერძნეთი.

კოპენჰაგენში მყოფნი ლონდონისა და ათინის კორესპონდენტები ერთხმათ მოწმობენ, რომ ბალკანეთის მდგომარეობა უკვე კრიტიკულ სტადიას განიცდის და ასე თუ ისე საქმის დაბოლოვება ახლო მომავლის საქმეა.

სალონიკიდან მოსული ცნობებით, სერბიის მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ შეიძლება ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოვიდეს სერბის ჯარი, თუ მოკავშირენი დროით მიაშველებენ საკმაო ძალას, რასაც, რასაკვირველია, გამოიწვევს რადიკალურ ცვლილებას საბერძნეთის პოზიციისას.

ოთხთა შეთანხმების დიპლომატები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ საბერძნეთის მთავრობას ხელი აღებინონ ძველ პოლიტიკაზე.

იტალიის გამოსვლა საბერძნეთზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც მას

ყველაზე უფრო ეშინია იტალიის აქტიური გამოსვლისა ბალკანეთში.

უკანასკნელი ცნობებით, საბერძნეთის მთავრობამ უარყო თავისი განზრახვა იარაღი აყაროს სერბიის ჯარს, თუ იგი იძულებული გახდა მრავალ-რიცხოვანი მტრის მიწოლით საბერძნეთის, ტერიტორიაზე გადმოვიდეს.

იტალიის მონაწილეობა ბალკანეთის ოპერაციებში.

„სტამპა“ აცხადებს, რომ იტალია ბალკანეთის ოპერაციებში თავის მოკავშირე სახელმწიფოებში თავის მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად შეთანხმებულათ იმოქმედებსო. რომის სამხედრო ავტორიტეტულ წრეებში უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ჯარი გაიგზავნოს მაკედონიაში სალონიკით და არა ალბანეთშიო.

„კორიერე დელლა-სერა“ უფრო გაბედულათ ამბობს: შეუძლებელია ჯარი ალბანეთში გაიგზავნოს, რადგანაც იქაური ცუდი გზები ჯარის მოძრაობას ხელს შეუშლისო.

თუ რამდენათ გამწვავდა იტალია-საბერძნეთის შორის დამოკიდებულობა, ამას ამოწმებს ის გარემოება, რომ საბერძნეთის სავაჭრო გემები საჩქაროთ სტოვებენ იტალიის ნავსადგურებს.

ბულგარეთ-გერმანეთის პლანი

„ბირჟ. ვედ“ ინსაროვი სწერს: ერთ ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოს ქვეშევრდომმა, რომელიც არ მალავს თავის სიმპატიას გერმანელებისადმი და რომელიც ახლახან დაბრუნდა ვენასა და სოფიაში მგზავრობიდან, მშვენივრათ დაახასიათა სოფიის წარმომადგენლების განზრახვანი და გეგმები სერბიის შესახებ.

„ბულგარლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ომში მაკედონიის შეერთების განზრახვით. მათ უფრო ბევრი სამხედრო სურსათი მოეპოვებოდათ, ვიდრე სერბიელებს. ხოლო იმის შემდეგ, რაც ბულგარეთისა და გერმანიის ჯარი ერთმანეთს შეუერთდა სამხედრო სურსათის რაოდენობამ ხომ საგრძნობლათ იმატა. ბულგარეთის მთავრობის გეგმაში სრულიათ არ შედის ომის ხანგრძლივობა ცენტრალური სახელმწიფოების გულისთვის. სოფიის მართველების განზრახვაა, როგორც კი მაკედონიას დაიკავებენ და დაიბრუნებენ იმ საზღვრებს, რომელიც სან-სტეფანოს ხელშეკრულებაშია მოხსენებული, სერბიას წაუყენონ ზავის პირობები. ბულგარეთი სრულებით დაინტერესებული არაა სერბიის სრული განადგურებით, პირიქით, სურს, რომ სერბიამ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა როგორც სახელმწიფოს ბუფერის სახით ბულგარეთსა და ავსტრო-უნგრეთის შორის. ბულგარლების განზრახვაა სერბიას ხელი აალებინონ მხოლოდ მაკედონიაზე.

ამავე დროს არც გერმანიას სურს სერბიის სრული განადგურება. გერმანიის სურვილია ძალის დატანებით დაითანხმოს სერბია სეპარატიულ ზავზე და შეუერთოს ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირს. სრულებით წინააღმდეგი განზრახვა აქვთ ავსტრო-უნგრეთის მართველებს, რომელნიც ფიქრობენ სერბიის უდიდესი ნაწილის ანექსიას, რაც, რასაკვირველია, ხელსაყრელი არ იქნება ბულგარეთისთვის თავის მეზობლათ ჯარისა და სამხედრო სურსათით თავისზე ძლიერი სახელმწიფო იყოლიოს.

ბულგარლები უკვე ახლავე მზათ არიან გამართონ სერბიასთან მოლაპარაკება სეპარატიულ ზავზე და საბერძნეთის საშუალებით ცდილობენ სერბიის ოპოზიციის წრეებზე გავლენა იქონიონ, რომ თავის სასარგებლოთ გადასჭრან საკითხი.

პირველი ბრძოლები ბულგარლებსა და სერბებს შორის მეტის თავგანწირვით ხდებოდა და მწვავე ხასიათიც ჰქონდა. ბულგარეთის ოფიცრები, ჯარის სამაგალითო სრულის თავდავიწყებით მიდიოდენ პირველნი ბრძოლის ველზედ და ისეთ საშიშ ადგილას ვარდებოდენ, რომ ასობით სწყდებოდა. ამის გამო მაკენზენმა მიმართა ბულგარეთის მთავარ ბინის საბჭოს გააფრთხილოს ოფიცრები, რომ თავის სიცოცხლეს გაუფრთხილდენ. ოსმალეთის ჯარი ბულგარეთის საზღვარზეა თავმოყრილი, მაგრამ ბულგარლებმა ვერ გადასწყვიტეს გაუშვან იგი თავის ტერიტორიაზე, რადგანაც ეშინიათ, რომ ოსმალეთის გაუწვრთნელი ჯარი ჩრდილო ბულგარეთში მშვიდობიან მცხოვრებლებს ააწიოკებსო.

ბულგარეთმა სერბიას ომი გამოუცხადა უფრო იმიტომ, რომ პრინც იოგან მეკლენბურგელმა დაარწმუნა, საბერძნეთისა და რუმინეთის მხრით ბულგარეთს საშიშროება არ მოელისო.

ემორჩილება რა ბერლინის მთავრობის დირექტივებს, ბულგარეთი ყველაფერს მოქმედობს საბერძნეთთან და რუმინიასთან მეგობრული კავშირის განსამტკიცებლათ.

დასასრულ მოსაუბრის აზრით, გერმანელებს იმედი აქვთ, რომ ბალკანეთის კუნძულზე დატრიალებული ამბები ძალას დაატანს სერბიას შეკრას სეპარატიული ზავი, ხოლო ამას კი მოყვება მოპირდაპირე სახელმწიფოების მხრითაც ზავის ჩამოგდებაო.“

ლამაზი სიკვდილი.

როდესაც ბელგრადში სკუპშჩინას სერბეთის მდგომარეობის შესახებ მოხსენდა ავსტრო-გერმანელთა გარდაწყვეტილება, დეპუტატთა უმრავლესობამ სურვილი გამოსთქვა მორჩილებისა. აღნიშნავდნენ ძალ-ღონის გამოლევას, ეკონომიურ კრიზისს, ათასგვარ ავადმყოფობას, საზოგადოდ წინა ბრძოლის გამო უნიათობას და დაჭანცულობას. მაგრამ ამ დროს წარმოდგა პრემიერი პაშიჩი და თავისი ისტორიული სიტყვა რაინდულათ დაამთავრა: „მართალია, დავმარცხდებით, მაგრამ ჩვენ ლამაზი სიკვდილი გვირჩევნია, ვიდრე მორჩილებაზე ხელი მოვაწეროთო“. სკუპშჩინამ აზრი შეიცვალა. მოხუცის ძლიერმა ნებისყოფამ დასძლია. ერთგვარ ჰიპნოზით შეპყრობილი დეპუტატები ეხლა ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, თუ გარედ რა ხარი და გოდება გაისმა ხალხში, როდესაც ბრძოლის გარდაწყვეტილების ამბავი შეესმათ. რაც მოხდა მას შემდეგ, ან რაც ხდება ეხლა, ეს ყველამ ვიცით. ეს კია, რომ სიტყვით სიტყვამდე ხდება წინასწარმეტყველება სასტიკი მოხუცისა. სერბეთი, მართლაც „ლამაზად კვდება!“ უკვე ორ მესამედზე მეტი დაპყრობილია. სისხლით დაცლილი აგერ უკანასკნელ ქედებს და აფარებს თავს, მაგრამ განწირულებით სული იძახის: „არა, არასდროს მტერი მორჩილებას ვერ ნახავსო!“ რაინდული სასოწარკვეთილება! რაინდული კოხტა სიკვდილი! სწორედ ისეთი, როგორიც ბელგებმა მოინდომეს! როგორც ეს ეხმოდათ საშუალო საუკუნის რაინდებს.

სამაგიეროდ ასე არ ჰფიქრობენ ისინი, ვისთვისაც ტარიგად შეეწირა სერბეთი. მათ განწირულ გარდაწყვეტილებას თუ თეატრალურ ტაშს ცემით მიეგებნენ მოკავშირეები, რეალურ დახმარებაზე ნაკლებ ზრუნვა გამოიჩინეს. გვახსოვს, თუ ინგლისში ლორდთა პალატაში რა განხეთქილება მოხდა ამის შესახებ; რომანტიკობას და სენტიმენტალობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ მსოფლიო კატასტროფის დროსაო. ლორდი ლენსდოუ სწორედ ასეთის ლექსით ილაშქრებდა პალატის გარდაწყვეტილების წინააღმდეგ. თითქმის ასევე მოხდა საფრანგეთში. დეპუტატთა უმრავლესობა ძალიან ნაღვიანევად შეურიგდა იმ აზრს, რომ ბალკანეთის ექსპედიცია დროზე მოეგვარებინა, ისიც ერთგვარი მობოდიშებისათვის, ზნეობრივ მოვალეობის მოსახდელად. ნამდვილად კი თუ რა ღირსების ღონისძიება მოიხმარეს, რა ტაქტი და უნარი გამოიჩინეს საზოგადო საქმიანობისა სერბთა დახმარების საქმეში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მათი ტრაბახი ამდენი და ამდენი გაიგზავნა ბალკანეთში, სრული სიყალბე გამოდგა და, როგორც გვახსოვს, 28 ოქტომბრის ოფიციალ. ცნობით საბოლოოდ გვეუწყა, დღემდე სულ 75 ათასი მეომარი მივაშველეთ ჩვენ და ინგლისმა სერბეთსაო. ეს ამბავი სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც მოკავშირეთა ჯარებს იმედები გაუცრუვდათ სტრუმიცეს წინააღმდეგ ლაშქრობაში და რამდენჯერმე სასტიკი მარცხის სიმწვავეც განიცადეს. ყოველ შემთხვევაში უნდა გვცოდნოდა, რომ მოკავშირეთა 75 ათასი მეომარი საგრძნობელ ძალას არ წარმოადგენდა მაკენზენის 600 ათასიან არმიის დასამარცხებლად, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ბულგარეთის უკანასკნელი 50 ათასიანი არმია, ისიც მაშინ, როცა ბრძოლის კრიზისი უმწვავეს ფაზაში გადავიდა და სერბეთის უმთავრესი პოზიციები თოვლსავით დადნა. მართალია, მას შემდეგ კერძო კორესპონდენტთა ცნობები მოდის ამდენი და ამდენი გამოიგზავნა ხელახლადაო, მაგრამ ამ ცნობათ ნაკლებ ერწმუნება ადამიანი. საწინააღმდეგო ცნობანი ერთგვარს პესიმისტურ მდგომარეობას ჰბადებს და არ იცის ადამიანმა, ვისღა ენდოს. ყოველ შემთხვევაში ეხლა ძნელი წარმოსადგენია მოკავშირეებმა საკმაო ძალები გამოგზავნონ ბალკანეთისკენ. თუ პრესას დაუჯერებთ რამე, დავინახავთ, რომ საფრანგეთის გოდება არც ისე უნიადაგოა, როგორც ეს ერთის შეხედვით გვეგონება. ჰერვეს პროტესტი ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ გასამართლებულ საბუთს ჰპოულობს. მართლაც, ჰერვეს თქმისა არ იყოს, როგორ შეიძლება დასავლეთ ფრონტზე ლაშქრის შესუსტება, სადაც მტერს ჯერ კიდევ ხელთ უპყრია ბრძოლის ინიციატივა და დღე დღეზე ლამობს ბრძოლის პირის გარღვევას! საზოგადო სიტუაცია ისეთი შეიქნა, რომ სერბეთს ადვილად ვეღარ უშველიან. ნუ დავივიწყებთ, რომ საბერძნეთ-რუმინეთის [illegible] ბაზის და უფრო [illegible] ქარიშხალი აფრიალეს, ვიდრე მოკავშირეებისა. ასეა თუ ისე, მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. პაშიჩის ძლიერი ნებისყოფა ისტორიულ პასუხისმგებლობის წინაშე წარსდგა. მან ვერ განსჭვრიტა, რომ რაინდობა პატარა ერის მხრით, ისიც მეოცე საუკუნეში, როდესაც ცივმა სარგებლობის პირადმა პოლიტიკამ ყოველგვარ ღირებულობის გარდაფასება მოახდინა, მხოლოდ საპაიკო როლის შესრულება იქნებოდა, რომლის თუნდა „ლამაზ სიკვდილს“ მხოლოდ ერთი დღით დაიტირებენ და დავიწყებას მისცემენ კიდეც. წინასწარმეტყველება ძნელია, რა მოხდება ხვალ, ეს კია, რომ დღეს დღეობით მოხუც პაშიჩს წინასწარმეტყველებს იგი დღეს ან ხვალ „ლამაზ სიკვდილის“ საიდუმლოებას ეზიარება, მაგრამ მისი „ლამაზი აღდგენაც“ თუ დღეს-ხვალ მოხდება, ეს არავინ უწყის, ვინაიდან მტრის გატეხის ნიშნები ჯერ არავის დაუნახია...

დ. კასრაძე.

უცხოეთი.

სიძვირესთან ბრძოლა გერმანიაში.

არც ერთი კითხვა ისე არ გამწვავებულა ომის გამო, როგორც სიძვირესთან ბრძოლა.

სიძვირესთან ბრძოლა ეს სადღეისო მთავარი საკითხია, რომელიც ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას ძირფესვიანათ არყევს და საშინელ გაჭირვებაში აგდებს მას. აქედან წარმოიშვა უმთავრესათ ყველა სახელმწიფოებში ხალხის ფართე მასსების მთავრობისადმი დიდი უკმაყოფილება; და აი, ხალხის ეს უკმაყოფილება რომ რისხვათ არ იქცეს, ამისთვის მთავრობები დაფაცურდენ და სიძვირესთან საბრძოლველ ზომების შემუშავებას შეუდგენ.

კარგა ხანია ეს კითხვა თვითონ მთავრობამ წამოაყენა რუსეთში და, როგორც ვიცით, შინაგან საქმეთა დღევანდელი მინისტრი ხვოსტოვი მთავარ საკითხათ „კუჭის საკითხს“ აყენებს; მაგრამ ამასთან ისიც ყველასთვის აშკარაა, რომ რუსეთში დღემდე თვალსაჩინო არა გარიგებულა რა. პირიქით სიძვირე სულ მაღლამაღლა იწევს და არავინ უწყის სანამდე მიიღწევს იგი. ამ მოვლენასთან ბრძოლა რუსეთში თითქმის შეუძლებელი ხდება.

ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყველა „მოღვაწეები“ შეთანხმდენ იმაზე, რომ ამ საქმეში დიდი როლის შესრულება თი-

---

ჩაკვდა სხივი.

ზოლას ხსოვნას.

ჩაკვდა სხივი გაიფერფლა,
დაიშალა ვარსკვლავთ კრება,
მთლათ სამყარო დაითალხა
ჰა, სრულდება ავსულთ ნება!

——

ჩაკვდა სხივი ცხოვრებისა,
ჩაკვდა სხივი იმედების,
ჩაკვდა.. ჩაკვდა.. კიდევ ერთი
დიდ ქომაგი ჩაგრულების,

——

ჩაკვდა სხივი გაცამტვერდა,
მაშვრალთ გული დაისერა,
და მსხვერპლების მთას აშენებს,
ულმობელი ბედის წერა.

——

ჩაკვდა, მაგრამ მომავალი
კვლავ წარმოშობს ბრძოლის ღმერთებს,
დროთა ბრუნვით გაჭედილსა
დაამსხვრევენ ხუნდ ბორკილებს.

ან. შაქიშვილი

ნისლი.

ესკიზი

(აზრი აღებულია).

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 223).

— ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი რამ არის დღეს თქვენი ოთახი. ის დაიარებოდა სამუშაო ოთახში და თავისი მშვენიერი სახით ეხებოდა ყვავილებს. და არ ვიცი სურნელებას მისი ღვთაებრივი სახე აკმევდა, თუ ის ყვავილები, რომელიც მე მოვუმზადე.

— რა მშვენიერებაა! შემოიხედა და გაიცინა.

— რას გაქვავებულხარ?

— პასუხი არ მივეცი, მხოლოდ ვუცქერდი მას.

— დავსხდეთ, ვისაუბროთ უკანასკნელათ—სთქვა მან, და იქვე სავარძელზე ყვავილივით გადაიშალა.

— მიხარია, რომ შენ მშვიდათა ხარ, კარგათა გრძნობ თავსა. უნდა გაგიტყდე და გითხრა, რომ მე ვფიქრობდი ჩვეულებრივ კომედიების თამაშს დაიწყებდი, მაგრამ არაფერია, დაჯექი;

მე ჟრუანტელი მივლიდა ტანში, ვთრთოდი, ვკანკალებდი.

— რა დაგემართათ? რისთვის კანკალებთ? რას გაჩუმებულხართ?

— მიყვარხარ! ვუპასუხე მე. ეს იყო ის, რის თქმაც კი შემეძლო. მან მხიარულათ გადიხარხარა.

— გვესმის, გავიგეთ, გაგვიგონია, პირველი არაა, და პირველი შენ არა ხარ, არც უკანასკნელი. მარტო შენ კი არ გიყვარვარ. შენისთანეებს ბევრს ვუყვარვარ.

— მე სხვებთან საქმე არა მაქვს, მე მიყვარხარ შენ.

მან ამოიოხრა.

— მეტს რას გვეტყვი?

— ისეთს ვერაფერს გეტყვი, რაც შენ არ იცოდე. შენ ჩემთვის ცხოვრება ხარ, სიცოცხლე, ჩემი მზე, მარტო შენ მინათებ. შენ მიდიხარ და მე ვხედავ, რომ შენთან მიდის ჩემი სიცოცხლეც.

— ...მოიცლის, ნუგეში მოგეცემა, ინუგეშებ თავს, სიყვარული იბადება, სიყვარული ქრება ყოველივე წარმავალია.

— არასოდეს!

ორივე გავჩუმდით. მე ჩავაკვირდი მის თვალებს. მასში იყო ცა, და ზღვის სიღრმე, განთიადი და გაზაფხულის მხიარული ცხოვრება.

— როგორ მოიქცევი შენ უჩემოდ? იმუშავებ, ხომ? რას გაშეშებულხარ?

— ჩემში, ყოველივე გადაბრუნდა, დაიმტვრა, დაიმსხვრა. ვიცქირები შენს თვალებში... ისინი ოდესღაც მიბრწყინავდენ მე. მათში ვჭვრეტდი ჩემს ბედნიერებას. მასში ვხედავდი შენს სიყვარულს. ეხლა ისინი მოისპენ ჩემთვის. მე ვუცქერი შენს პატარა ნაზ ტუჩებს, ისინი დამპირდენ ბევრ რამეს, ისინი მანიჭებდენ მე სიხარულს, ცხოვრების,გამარჯვების იმედს. ისინი დადუმდა დღეს ჩემთვის. შენს აბრეშუმის მსგავსს ბრწყინავ სურნელოვან თმებს ვკოცნიდი. შენს პატარა ნაზ ხელებს გულში ვიხუტებდი, და ისინი აძლევდენ ჩემ გულს სიცოცხლეს. ისინიც მოკვდენ ჩემთვის. შენ მიდიხარ ჩემგან. შენი სახელი მე პირზე მეკერა, მას ვიმეორებდი მუდამ, როგორც წმინდათა-წმინდის სახელს, შენთვის, მხოლოდ შენთვის მინდოდა შემეწირა ჩემი სიცოცხლე. მინდოდა, ყოველ დღე, ყოველ საათს ყოველ წამს ჩემი ცხოვრება შენთვის გადამეშალა ფიანდაზად. ერთი შენი შემოხედვა, სიტყვაც კი მე უძლურს გმირათ მაქცევდა, ერთი შენი სიტყვა საკმარისი იყო, რომ გაშმაგებულ ლომს შევბმოდი, აზვირთებულ, აქაფებულ მშფოთავ ზღვის ტალღებს და ქარიშხალს შევებრძოლებოდი. შენ იყავი, შენ ჩემი სიცოცხლე; შენი შემოხედვა მავიწყებდა წარსულს, მე აწმყოთი და მომავლით ვსცხოვრობდი. შენს გარეთ, უშენოთ მე ცხოვრება არ მწამდა ყოველივე ამის მიზეზი შენ იყავი, შენ, ჩემო ღვთაებავ! ჩემს სულში სასწაულებრივ ავაშენე დიდებული, მშვენებით მოსილი ტაძარი და შენ იყავი იმ ტაძრის ღმერთი, იმ ღმერთზე ვლოცულობდი მე.

— რაღაში მესაჭიროება ახლა ის ტაძარი? ახლა ის დაცარიელდა. შენ ქურდულათ შემოიპარე ჩემ ტაძარში და გაძარცვე ის. წაიღე ის ძეგლი, რომელიც მე ღმერთს ავუმართე. ეხლა ის ტაძარი საჭირო აღარ იქნება; დიახ, შენ დაამსხვრიე ჩემი გული, მომიკალ ჩემი მსასოებელი იმედი, ფიქრი ჩემი მომტაცე და სამარეს ამოაფარე. გმადლობ, გმადლობ შენ, იმ სიხარულისათვის, იმ აღტაცებისათვის, იმ სიცოცხლისათვის, რომელიც შენ შემოიტანე ჩემს სულში. მე ვლოცულობ შენზე, მაგრამ როგორ შემიძლია მე უშენოდ ცხოვრება, რათ, რათ მიქციე ეს ქვეყანა კუპრათ? რა დაგიშავე? გევედრები დარჩი, დარჩი, ნუ მიხვალ.

ის წამოდგა.

— სჯობს, ჩემი წერილები მომცე.

— მოიცადე ერთი წამი, მე უშენოთ ვერ ვიცოცხლებ. არა, ამის ძალა მე არა შემწევს.

— წარმოიდგინეთ, რომ მე მოვკვდი, ხომ შეიძლება ეს მოხდეს?

— და შენ კიდევაც უნდა მოკვდე! შენ მოკვდები.

იმან გაიღიმა.

— რასაკვირველია, სიკვდილის დროც მოვა.

— ის უკვე მოვიდა!—ვუთხარი მე.

— როგორ თუ მოვიდა?

— ამას შენ ეხლავე მიხვდები. ის ვერ მიმიხვდა და გაახილა თავისი ელვარე თვალები.

— რისთვის?

— მე მოგკლავ შენ!

მის სახეს მოუსვენრობა დაეტყო, მე ივატყვე, რომ ის შფოთავდა.

— დროა წასვლისა, უნდა წავიდე, ისედაც დიდხანს დავრჩი.

— შენ ვერსად წახვალ!

— ხელი გამიშვი, ნუ ხარ მკაცრი.

— შენ უნდა მოკვდე.

უსიტყვოთ შემოვხედე თვალებში, დიდხანს მიცქერდა და უცებ სახე აემღვრა.

— გამიშვი, მეშინია, გესმის, გამიშვი თორემ ეხლავე ვიყვირებ.

მე მივაწვინე ის სავარძელზე, მარჯვენა ხელი მოვუჭირე მის ნაზ ყელს და ვით ტოტი ვარდისა გადავზნიქე, ტოტი გადამიტყდა, ვარდმა სურნელობა დაჰკარგა, ფურცლები დასცვინდა შემდეგ გამქრალს, მიმკრთალებულს მის საყვარელს სახეს დავეყრდნე ამბორით, დავემხე, ცრემლებით მოვრწყე დაცვენილი ფურცლები. სიცოცხლე კი გაჰქრა. არ ვიცი, არ მახსოვს რამოდენა ხანი ვიყავი ამ მდგომარეობაში. გაბრუებული წამოვდექი, ოთახი მივატოვე; გარეთ გამოვვარდი. ბნელოდა. ეტლით მოვედი აი აქ, ამ ნაპირზე და დიდხანს, დიდხანს ვუცქერდი მზის ჩასვლას, ფაზისს, კარგათ მესმოდა მეორე ნაპირზე თუ როგორ ღაღიებდენ უდარდელათ მეტივეები. შაბათი იყო. ტაძრებიდან ზარის რეკა ისმოდა, უხმობდენ, იწვევდენ მლოცველებს. დიახ, შაბათ საღამო იყო. მე მაშინ არასფერს არ ვფიქრობდი. და მას შემდეგ ყოველ შაბათობით მოვდივარ აი, აქა, და გაშტერებული შევსცქერი აქაურობას, ისინი მაგონებენ ჩემს მკვდარ ღმერთს. — დავბრუნდი, ნელის ნაბიჯით ავყევი კიბეს. ჩემი ოთახის კარები ღია დამხვდა. მხოლოდ მერე გამახსენდა, რომ კარი ღია დამრჩენოდა, დამვიწყებოდა მიხურვაც კი. შევედი ოთახში. ის ისევ მისვენებული იყო სავარძელზე. მე მოვრთე ის ყვავილებით, მას ისე უყვარდა მათი სურნელობა. დავიჩოქე და დავეყრდენი მის ტუჩებს. ისევ წამოვდექი, ავიღე ჩაქუჩი და დავამსხვრიე ის ქანდაკება, რომელიც შევქმენი მის პატივსაცემლათ. დიახ, მე მოვსპე ჩემივე შექმნილი ქანდაკება, „ასული სიყვარულისა, ღვთის სახით მოვლინებული“. ისევ დავემხვე, ჩემს მკვდარ ღმერთის ფეხებთან. დიდხანს,

თქო „კოოპერატივებს" შეეძლოთ, თითქო კოოპერაციის საშუალებით ამ საკითხის გადაჭრა შეიძლებოდეს რუსეთში. ჩვენი გაზეთებიც აჰყვნენ ამ ხმას და დღეს არ გაუშვებენ ისე, რომ „კოოპერაციაზე" წერილი რამ არ მოათავსონ: ასე ეგონება მკითხველს თითქოს ამ კოოპერაციაში იყოს მოთავსებული ის თილისმა, რომლის საშუალებით ჩვენი ტკივილების დაამება და გაქრობა მოხერხდებოდეს.

კარგი საქმეა კოოპერაცია, ვიტყვით ჩვენ, მაგრამ მისი გავლენა მეტათ სუსტია, თუ მას სახელმწიფოებრივი ძალა—უფლება წინ არ უძღვის და ყოველგვარი ზომებით მის მოქმედებას ხელს არ უწყობს. იგი ტყუილი იმედია, რომ რუსეთში მისი საშუალებით რაიმე თვალსაჩინო შედეგს, სიძვირის საგრძნობლათ განელებას მივაღწიოთ!

სულ სხვაა გერმანიაში.

იქ ხალხის აჩმაურებამ მთავრობა ძალე დააფიქრა და დაუყონებლივ შესაფერი ზომები მიაღებინა მას.

ამის საილიუსტრაციოთ მარტო კარტოფილის გაძვირების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაც კმარა.

პურის შემდეგ გერმანიის ხალხის მთავარ საზრდოს კარტოფილი შეადგენს; ამიტომ კარტოფილის სიძვირე გერმანელ ხალხისთვის მეტათ საგრძნობი გახდა.

ომამდე კარტოფილი ბაზარზე გირვანქა ჩვეულებრივ 1 კაპეიკათ იყიდებოდა, ხოლო ერთი წლის ომის შემდეგ იგი 2—3 კაპეიკი გახდა. (ჩვენში ხომ 6—7 კაპეიკსაც არ სჯერდებიან ახლა.) ასე გაძვირდა სხვა გვარი სანოვაგეც და ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო.

და აი გერმანიის მოხმარებელთა მასსა ახმაურდა, ამხედრდა: ბერლინის ქუჩებში სადემონსტრაციოთ გამოეფინა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ბევრ ალაგას საპროტესტო დემონსტრაციები გამართეს და მთავრობას სიძვირესთან საბრძოლველი ზომების დაუყონებლივ მიღება მოსთხოვეს. ქუჩაზე გამოსულ ხალხს პოლიცია გადაეღობა წინ, მაგრამ ხალხი მას არ შეეპუა და მსვლელობა განაგრძო: მოხდა შეტაკება, შეიწირა მსხვერპლი და მთავრობაც გონს მოვიდა: ხალხის მოთხოვნას ყური დაუგდო და მოსმენისთანავე შესაფერი ზომები მიიღო.

რას მოითხოვდა ხალხი?

უპირველესათ მთავრობამ იძულებით ჩამოართვას მემამულე მწარმოებლებს სარჩო-სანოვაგე და ომამდე დაწესებულ ფასებში მიყიდოს მცხოვრებთ. მეორე მთავრობამ ხალხისთვის საკმაო სანოვაგე უნდა მოიპოვოს და თვითმართველობათა საშუალებით მცხოვრებთა შორის მოთხოვნილების დაგვარათ უნდა განაწილოს.

ხალხის ეს მოთხოვნა გერმანიის მთავრობამ ჯერ-ჯერობით კარტოფილის შესახებ ახალი კანონის გამოცემით სრულიათ დააკმაყოფილა.

გერმანიის კავშირის საბჭო ოქტომბერშივე იძულებული გახდა, რომ სიძვირის წინააღმდეგ რამდენიმე კანონი გამოეცა. უპირველესათ მან კარტოფილის სიძვირეს მიაქცია ყურადღება და ამიტომაც მისი პირველი ახალი კანონი ამ საგანს შეეხება.

რაში მდგომარეობს ეს კანონი?

იგი აარსებს „კარტოფილის საიმპერიო ცენტრს", რომელიც ორი განყოფილებისგან შესდგება: ადმინისტრაციულისაგან და სავაჭროსაგან. პირველი კითხვას პრინციპიალურათ გადაჭრის, ხოლო მეორე საქონლის პატრონებს ურიგდება, აწესებს საქონელზე ფასებს, როცა საქონელი იძულებით არის ჩამორთმეული; ყველაფერი ეს პირველი განყოფილების ხელმძღვანელობით ხდება. ორივე განყოფილების მოქმედებას ზედამხედველობას უწევს განსაკუთრებული საბჭო, რომელსაც „ზედამხედველი საბჭო" ეწოდება. როგორც განყოფილებათა გამგეობებში, ისე საბჭოშიაც საზოგადოების წარმომადგენლებიც შედიან. მაგალითათ პირველი განყოფილების გამგეობის 17 წევრში მოხმარებელთა წარმომადგენლათ 7 კაცი ითვლება; „ზედამხედველ საბჭოს" 27 წევრიდან კი 11 კაცი.

როგორც ხედავთ მთავრობას ვაჭარმრეწველთა, განსაკუთრებით კი მემამულეების ინტერესები აქ ვერ დაუვიწყნია და ხელმძღვანელ ორგანიზაციის დიდი უმეტესობა მათი წარმომადგენლებისაგან შედგენია. მაგრამ დღევანდელ პირობებში მთავრობის მხრით ისიც დიდ დათმობით უნდა ჩაითვალოს, რომ აღელვებულ—უკმაყოფილო მხმარებლების წარმომადგენლებათ 44 წევრიდგან 18 კაცი მაინც მიუწვევია.

გერმანიის მთავრობა ერთი მხრით, რომ ამხედრებულ ხალხს უთმობს, მეორე მხრით მემამულეების ინტერესებს მფარველობს და რამდენათაც კი შესაძლებელია, იცავს მას. რა უნდა ქნას: ასეთია დღევანდელი მთავრობის ბუნება-ხასიათი, როგორი ლიბერალიც უნდა იყოს იგი. მაგრამ მიუხედავათ ამისა ახალ კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის და ნაყოფიერ შედეგსაც აღწევს იგი.

ამ კანონით „კარტოფილის ცენტრი" სამსახურს უწევს გერმანიის ყველა იმ დაბა ქალაქს, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 10,000 ზე ნაკლები არაა.

თითოეული ქალაქის თვითმართველობა ვალდებულია დაუყონებლივ მიაწოდოს „ცენტრს" ცნობა თუ რამდენი კარტოფილია საჭირო ქალაქის მცხოვრებთა ნორმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ამა წლის 1 ნოემბრიდან მომავალი წლის 1 მაისამდე, ე. ი. ნახევარი წლის განმავლობაში. ასეთი ცნობები „ცენტრმა" 25 ოქტომბრამდე უკვე შეაგროვა და ახლა პრაქტიკულათ განხორციელებას მიჰყო ხელი. ამ ცნობების მცხოვრებთა გამოსაკვებათ ნახევარი წლის განმავლობაში სულ 162 მილიონი ფუთი კარტოფილია საჭირო.

„ცენტრი" ვალდებულია ყოველი ქალაქის თვითმართველობას იმდენი კარტოფილი უშოვოს, რამდენიც დაკვეთილი აქვს მისგან. ამ მიზნის მისაღწევათ „ცენტრს" ხაზინიდან ეძლევა ფული, რომლითაც მან უნდა შეიძინოს კანონით დადგენილ ფასებში ბაზარზე კარტოფილი და თუ იქ ეს საქონელი საკმაო არ აღმოჩნდება, მაშინ იგი იძულებით უნდა ჩამოართვას მემამულე მწარმოებლებს კანონით დაწესებულ ფასებში.

და აი აქ საშუალება ეძლევა მთავრობას მემამულეების ინტერესები დააკმაყოფილოს და მით ეს კლასი მოიმადლიეროს.

ჯერ ერთი იძულებითი ჩამორთმევა იმ მემამულეებს ეხება, რომელთაც 9 დესეტინამდე ადგილი კართოფილით აქვთ დათესილი; მერე კანონით მოსავლის მხოლოდ $10\,^0/_0$-ის ჩამორთმევა შეიძლება და ისიც საკმაოთ „ზომიერ" ფასებში. მაგალითად ერთ ტონ კართოფილში 60 მარკამდე მიეცემათ და ესეც ომამდე დაწესებულ ფასებზე ბევრად დიდია.

მიუხედავათ ამისა კანონით კართოფილი ქალაქის მცხოვრებთ დაახლოვებით იმ ფასებში უნდა მიიღონ, როგორც ეს ომამდე იყო დაწესებული, ე. ი. გირვანქა კართოფილი უნდა გაიყიდოს მხმარებელზე $1-1^1/_2$ კაპეიკათ. როგორ ხერხდება ეს, თუ მემამულეებს ჩვეულებრივზე მეტი ფასები მიეცემათ.

აი როგორ:

„ცენტრი" შეძენილ საქონელს თავის ღირებულების თანახმად აძლევს ქალაქის თვითმართველობას; გადატანაში და საქონლის ჩაბარებაში იგი ძალიან მცირე ფასს ახდევინებს ქალაქს. ქალაქი ვალდებულია საქონელი ან თვითონ პირდაპირ მიყიდოს მხმარებლებს ან და გადასცეს მეწვრილმანეებს, რომლებიც გაყიდულ საქონელზე აიღებენ მცირე „საკომისიოს" რომლის რაოდენობა $5\,^0/_0$ არ უნდა აღემატებოდეს. ამ რიგათ მოწოდებული კარტოფილი გერმანიაში მხმარებელს შეუძლია იყიდოს გირვანქა $1-1^1/_2$ კაპეიკათ. ე. ი. იმ ფასში, რაც ომამდე იყო. ამ ნაირათ თუმცა მემამულე-მწარმოებელი ჩვეულებრივზე მეტ ფასს ღებულობს, მაგრამ იმავე დროს მხმარებელი შოულობს ომამდე დაწესებულ ფასებში და ეს მხოლოდ იქედან წარმოსდგება, რომ აღებმიცემის, მსხვილი ვაჭრის როლს, თვითონ ს ხელმწიფო კისრულობს, რომელიც შუამავლობისათვის თითქმის არავითარ მოგებას არ ღებულობს; ამას გარდა იგი კანონით ძალზე ამცირებს და ზღუდავს იმ მოგებას რაოდენობასაც, რასაც ათასი ჩარჩ-შუამავლები საქონელს ადებენ და მხმარებელთაგან იღებენ. ამ სახით იმ მოგების დიდი ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ შუამავლებს მიჰქონდათ ახალი კანონით მემამულე—მწარმოებლების ჯიბეში გადადის ამავე დროს მხმარებელი საქონელს ჩვეულებრივ ფასებში შოულობს.

როგორც ხედავთ, ამ კანონით მთავრობა მემამულეებსაც გულდაწყვეტილი არ ტოვებს და ხალხსაც აკმაყოფილებს.

ჭახრაკული კანონიც ამას ჰქვიან!

„არც მწვადი დასწვა და არც შამფური": ხალხიც დააკმაყოფილა და გაბატონებული კლასიც მოიმადლიერა.

ასე მოქმედებს გერმანიის მთავრობა ომის გამოცხადების დღიდან და ასე მოიქცა ახლაც.

დღეს დღეობით მან ვაჭრის როლის ხელში აღებით აღელვებული ხალხი დროებით ჩააჩუმა და მწვავე საკითხიც სიძვირესთან ბრძოლა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა: ის როლი, რომელსაც ჩვენში „კოოპერატივები" ჩემულობენ, თვითონ სახელმწიფომ და თვითმართველობამ იკისრა.

დელი.

დიდხანს ვლოცულობდი, ვეამბორებოდი მის მკვდარ ტუჩებს, არა, ის მკვდარი არ იყო, მას ეძინა და ამიტომ ხმას არ იღებდა, სდუმდა. ეხ! დაიგმინა მან და გაჩუმდა.

ეს სიჩუმე ისევ მან დაარღვია.

— შემდეგ, შემდეგ, რა იყო, რა მოხდა, ხო, მართლა, მომითმინეთ, როგორ იყო ესა, ჰოოო, მართლაც, მართალია, სრულიად მართალია, სწორეა. მოვიდნენ ეს ორფეხიანები, მათ ხომ არაფერიც არ ესმით? ისინი ამბობდენ, რომ ჩემი ღმერთი თითქოს გაძრწნილიყო, სუნი უდის. სიცრუეა, ტყუილია, არ არის მართალი, სულელნი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ სისულელეა, გიჟების გამოგონილი. ყვავილების სუნი უდიოდა, მხოლოდ ყვავილების. წარმოიდგინეთ, ამისათვის წავეჩხუბე კიდეც მათ. მე ხომ დამნაშავე არა ვარ, რად შეურაცხყვეს ჩემი პატარა ღმერთი.

მე სამართალში მიმცეს, გამასამართლეს კიდეც, ღმერთმანი გამასამართლეს! ვიღაც სულელი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემი დაცვა იკისრა. რაებს არ ამბობდენ სასამართლოში? მე კი, მე, ვსდუმდი, მათ კითხვებზე პასუხს არ ვძლევდი. პირველათ მე ციხეში ჩამსვეს. იქიდან კი სულით ავათმყოფთა სადგომში გადამიყვანეს. მერე რისთვის? რისთვის? რათ, რათ მოხდა ყოველივე ეს ასე? მე ხომ მართლა სულით ავადმყოფი არა ვარ? მე... მე მხოლოდ უბედური ვარ!

მწარეთ დაიგმინა საბრალომ, წამოიწია, წამოდგა... ღამის წყვდიადს დაეცქერდა, მერე რაღაცა წაილუღლუღა და ისე მოჰკურცხლა, რომ უკან აღარ მოუხედნია.

ვინ იყო ეს კაცი?

დღესაც არ ვიცი.

ილარიონ ჟღენტი.

ამონაკვნესი.

დღეს ომია; მეომარიც
ხმალს ლესავს და აპრიალებს;
ხან ჰაერში მამაცურად
ათამაშებს, ასრიალებს...

— —

ყველგან ცრემლის ნაკადული,
ყველგან სისხლი მოჩხრიალებს;
და სიბნელეც ჯადოსნურად
ჩარხს უკუღმა ატრიალებს.

— —

დღეს „არესი" ბრძოლის ველზედ
ხმალს იქნევს და აბრიალებს,
და კეკლუცად მორთულ მდელოს
აოხრებს და ატიალებს...

— —

აღარ ისმის კაცთ ძახილი!
ყვავ-ყორანი დაგვსრიალებს;
და ყოველ დღე ჩვენდა სასრელად
ზარბაზნები დაგრიალებს...

— —

ვერვინ უძლებს ამ ჯოჯოხეთს;
დაულევია ცრემლი ის,
და ბულბულიც ძველებურად
არ იძახის „ტია-ტიას"! ..

— —

ცაო, ცაო დაიგრგვინე,
შორს ღრუბლები გადაყარე,
და საცოდავ მებრძოლთ შორის
აწ მშვიდობა დაამყარე...

გ. მღებავისშვილი.

დღეს, 15 ნოემბერს, ქუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე მიწას მიაბარებენ მშრომელი ხალხისთვის თავდადებულ ქართველ მწერალს ბიკენტა ლომთათიძეს, სიცოცხლით არ ეღირსა თავის სამშობლოს ნახვას და იქნება მისმა ძვლებმა მაინც იგრძნონ მშობელი მიწის მიკარება.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სამაგალითო საქციელი. ჩვენში ყველას კარგათ აქვს წარმოდგენილი, თუ რა ძნელ პირობებში არიან ჩაყენებულნი ქართველი მოწაფეები მთავრობის სასწავლებლებში იმის გამო, რომ მათთვის ამ სკოლებში არ მოიპოვება საკმაო რიცხვი საკითხავ წიგნებისა ქართულ ენაზე.

გული გიკვდება, როდესაც ხედავ, რომ სხვა საგნებში საკითხავ, წიგნებისათვის დიდი ფული იხარჯება და ქართული წიგნებისათვის კი გროშსაც არავინ იღებს. ამისთვის დიდი მადლობის ღირსია ქალბატონი კნეინა სოფიო მიქელაძისა, რომელმაც ოცდა ხუთი მანეთი გადასცა მთავრობის ქალთა გიმნაზიას, რათა ამ ფულით მოუპოვონ მოწაფეთ უსაჭიროესი ქართული საკითხავი წიგნები; კომისია, დანიშნული ამ საქმის მოსაწესრიგებლათ, უკვე შესდგომია წიგნების შეძენას.

✦ კვირას, 13 ნოემბერს ქუთაისის ქართულ თეატრში ქუთაისის ქალთა საზ. მეთაურობით სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა სუმბათაშვილის „ღალატი" წმ. შემოსავალი გადაიდება კავკასიის ჯარის კაცთა სასარგებლოთ. თეატრი საზოგადოებით გაჭედილი იყო.

✦ ქუთაისის მეეტლეების მამასახლისმა ილარიონ ვაშაკიძემ მთავრობას სთხოვს 30 ვაგონს ქუთათურ მეეტლეებისათვის თივის მოსაყიდათ.

✦ გუბერნატორმა ნება დართო გიორგი ნიორაძეს წაიკითხოს ქალაქის თეატრში საჯარო ლექცია „იან ჰუსზე".

✦ ქუთაისის რეალური სასწავლებლის 5 კლასის 14 წლის მოწაფე ბავშვები ერასტი რუსაძე და შალვა ქორქოლაძე 12 ნოემბრიდან შინ აღარ დაბრუნებულა. როგორც გამოირკვა, ორთავენი გაპარულან ბრძოლის ველზე. შალვა ქორქოლაძეს ამ რამდენიმე ხნის წინათაც დაუპირებია პოზიციებზე გაპარვა მაგრამ მშობლებს შეუტყვია და ბავშვი დაუბრუნებიათ.

✦ 12 ნოემბერს ქუთაისის დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნა ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

✦ 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე, შავი ქვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია რაჭის, ქუთაისისა და ლეჩხუმის მაზრების საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება, განსახილველია შემდეგი საკითხები, მოწესრიგება სიმინდის, შაბიამან-გოგირდის და აბრეშუმის თესლის გამოწერისა, 2) ზემო დასახელებულ აპერაციისათვის სახსრის გამონახვა. 3) კავშირის დაარსება საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობებისა. 4) საშუამავლო ოპერაციების შემოღება ამხანაგობებში. 5) საშუალებათა გამონახვა მობარებული ფულების გასაძლიერებლად და 6) მიმდინარე საკითხები.

✦ ოზურგეთში ახლად დაარსებულ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გამგეობამ უკვე დაიწყო მოქმედება. გამგეობის თავჯდომარეთ აირჩიეს თავ. დიმ. კ. ერისთავი თავჯდომარის ამხანაგად თავ. ივს. დ. ნაკაშიძე, ხაზინადრათ რ. ლ. ჩხაიძე და მდივნად დიმ. ზ. თალაკვაძე.

გამგეობა დამშეულ-დაზარალებულთა ცნობის შეკრებას უკვე შეუდგა. დაიბეჭდა და დაიგზავნა მაზრაში მოწოდება, რომლითაც დაინტერესებულ პირთ ეცნობათ განყოფილების გახსნა. გამგეობა მიმართავს ხალხის გულშემატკივართ და სთხოვს შოაწოდონ მას ცნობები ომისა და წყალდიდობისაგან დამშეულ დაზარალებულთა შესახებ. ცნობები და ყოველ-გვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოეგზავნილ იქნას ოზურგეთში გამგეობის მდივნის დ. ზ. თალაკვაძის სახელზე.

✦ 13 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში [illegible]ლი იყო სარევიზიო კომისიის [illegible], მაგრამ წევრთა საკმაო [illegible]სწრებლობის გამო, არ შესდგა.

✦ ქუთაისის სასაკლაოდან ხორცის გადაზიდვა მეტათ უწესრიგოთ ხდება ხორცსყრიან „ტაჩკებში" ზევით არაფერს არ აფარებენ და ხორცი ძლიერ ბინძურდება. საჭიროა ყურადღების მიქცევა.

✦ როგორც პეტროგრადიდან იუწყებიან, სახელმწიფო სათათბიროს 30 ნოემბრისათვის მოიწვევენო.

✦ 1898-9 წლების წითელ ბილეთიანები გაწვეული იქნებიან ჯარში სანიტრებათ.

✦ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში, განსაკუთრებით ოკრიბაში, ამზადებენ მოცვის ჩაის ეს ჩაი იგზავნება მოსკოვში. უწინ ფუთი ღირდა 3 მან. და ახლა კი 24—25 მან. ფასობს. საჭიროა საერობო აგრონომებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და სოფლელებს ასწავლონ ჩაის სუფთად დამზადება,

✦ ალექსანდრეს ქუჩაზე იპოვნეს ოქროს საათი თავისი ძეწკვით. პატრონმა მოიკითხოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის ბინაზე.

✦ უკვალოდ დაიკარგენ ჯარის კაცები: კოსტა ვაჭარაძე მსახურებდა ყარსში 79 კურინსკის პოლკში და ძმა მისი ანდრო სტეფანეს ძე ვაჭარაძე მსახურებდა კავკასიის მოქმედ ჯარში 262 გროზნოს პოლკში მე-12 როტაში. თუ ვინმემ რამე იცის ამათ შესახებ, სთხოვენ აცნობოთ ელისავეტპოლში დეპოს მოსამსახურეს გერმანე კაჭახიძეს.

სოფლის ჭირ-ვარამი

ს. გოდოგანი. ს. გოდოგანი მდებარეობს რვა ვერსის მანძილზე ქუთაისიდან. მიუხედავათ ამ სიახლოვისა, კულტურის მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია სხვა სოფლებზე ამ სოფელში გარდა კერძო სასწავლებლისა, სხვა შკოლა არ არსებობს მცხოვრებნი ძლიერ შორი-შორს არიან დასახლებული, ამ სიშორის გამო უნდა არსებობდეს ორი-სამი შკოლა, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთი შკოლა არ არსებობს, აგრეთვე არ არსებობს წიგნსაცავ სამკითხველო, რის გამო მცხვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. ბევრს სურს ასწავლოს თავიანთ ბავშვებს, მაგრამ სად ასწავლოს, როდესაც ადგილობრივი შკოლა არ არსებობს და არც თითონ იცის მშობლებმა წერა-კითხვა. ზოგი მშობლები თავის ბავშვს უშვებს სასწავლებლათ მახლობელ სოფლებში მაგ. მოწამეთაში, გელათში და ჰოგნარში რომლებიც იმყოფებიან, ამ სოფელზე ცოტა მოშორებით და ბავშვები დიდ გაჭირვებას განიცდიან განსაკუთრებით ცუდ ამინდში. ამ ჟამად ადგილობრივ ინტელიგენციას სურს დაარსონ ადგილობრივი შკოლა და უფასო წიგნსაცავ სამკითხველო და ამ რიგათ უნდათ მოფინონ სამშობლო სოფელს განათლების სხივი, რითაც გოდოგნები დიდი მადლიერი დარჩებიან, თუ ადგილობრივმა ინტილიგენტებმა ეს საქმე შესძლეს.

მამონტი ჭირაქაძე.

უკანასკნელი გაფრთხილება

(იურიევის დორპატის ქართული სათვისტომოს მოვალეებს.)

მ. ხ.!

მიუხედავათ იმისა, რომ სათვისტომოს მოვალეები არა ერთხელ გავაფრთხილეთ გაზეთებისა და კერძო წერილების საშუალებით ვალების გადახდის შესახებ, მათმა უმრავლესობამ ამ ჩვენ გაფრთხილებაზე სრული სიჩუმით გვიპასუხა; ამიტომ 1 ნოემბრის 1915 წ. იურიევის ქართული სათვისტომოს საერთო კრებამ დაადგინა: „უკანასკნელათ მივმართოთ სათვისტომოს მოვალეებს და მივცეთ ერთი თვის ვადა გაზეთებში გამოცხადების დღიდან ვალის გადასახდელათ. ვინც კი ამ დანიშნულ ვადაში მასზე დარჩენილ ვალს არ გადაიხდის: გამოვაცხადოთ მისი სახელი და გვარი გაზეთებში და შემდეგ მის წინააღმდეგ იურიდიული ზომები მივიღოთ."

სათვისტომოს გამგეობა ასრულებს რა საერთო კრების დადგენილებას, უკანასკნელათ სთხოვს მოვალეებს მიიღონ შესაფერი ზომები და ამ ვადაში გამოგზავნონ ვალები შემდეგი მისამართით: Юрьевъ, Лифл. Студ. Карцезу Г. Беридзе. Гильдеиская 1.

სათვისტომოს თავმჯდომარე კარპ. ბერიძე.
დრ. მდივანი შაბუკიანი.
ქ. იურიევი (დორპატი) 2 ნოემბერი 1915 წ.

P. S. ვთხოვთ უმორჩილესათ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ფრონტი.

პარიზი. 12 ნოემბერი. დღის ოფიციალური. ღამის განმავლობაში ფრონტის რამდენიმე პუნქტზე არტუასა და ლოტარინგიაში ბრძოლა ხდება და ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით ფრიზის რაიონში სომის ჰალაში, ჩვენი არტილერია მოხერხებულათ უშენდა მტრის ტყვიის მტყორცნელთა ბანაკს. ასეთივე წარმატებით ვუშენდით არტილერ. ცეცხს რუას რაიონში სადგურ ბერვენსა და დაკურს. დანარჩენ ფრონტზე ხდებოდა ჩვეულებრივი საარტილერიო სროლა.

პარიზი. 12 ნოემბერი. ღამის ოფიციალური ცნობა. ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

დარდანელში ეს რამდენიმე ხანია მტერმა მოქმედება გააძლიერა. 8 ნოემბერს, ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, ოსმალები სამჯერ შეეცადენ იერიშის მიტანას ინგლისის ფრონტზე დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლათ, მმგრამ იერიში უნაყოფოთ დაურჩათ. მტერმა დიდი ზარალი ნახა ინგლისის არტილერიის ცეცხლით და ქვეითა ჯარის შეტევით; ამავე დროს ინგლისის არტილერიას ეხმარებოდა ფრანგების ბატარეა პოზიციებიდან და მტერი იძულებული იყო უკან დაეხია, დასტოვა რა ბრძოლის ველზე აუარებელი გვამი დახოცილებისა. მიწის ქვეშ ბრძოლა წინანდელი ენერგიით გრძელდება ორივე მხრიდან 8 ნოემბერს ჩვენ მოხერხებულათ ავაფეთქეთ ქუჩა. ჩვენი საპიორები მიწის ხვრელში წააწყდენ ოსმალოებს, დაუყონებლივ გაფანტეს მტრის მომუშავენი და შემდეგ ააფეთქეს ქურა, რომლის დროსაც შეირყა საველე სიმაგრეები. მთელი დღე, 11 ნოემბერს, ოსმალები სროლას განაგრძობდენ და ყუმბარებს უშენდენ ჩვენს პოზიციებს. საზოგადოთ მტერი, თავის მოქმედებას აძლიერებს. ჩვენი ჰაეროპლანები მოსვენებას არ აძლევენ მტერს და გამუდმებით ესვრიან ყუმბარებს კონსტანტინოპოლ-დედეაგაჩის რკინის გზას, აზიანებს საველე სიმაგრეებს. ასევე მოსვენებას არ აძლევენ ჩვენი მონიტორები და სუბუქი გემები, რომელნიც ყუმბარებს უშენენ აზიის სანაპიროებს. მტერი იძულებულია საგრძნობი ძალით სულ მუდამ ფხიზლათ იყოს.

ბალკანეთის ფრონტი.

10 ნოემბერი. დღის განმავლობაში შეტაკება გვქონდა ბულგარლებთან დრუზიკთან კრივოლაკის აღმოსავლეთით, სადაც ბულგარლები შევიწროებული იქნენ:

ჰავრი. 12 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ხნის განმავლობაში ნოორდშოსტზე სროლას, უნდა აღინიშნოს, რომ მთელს ფრონტზე სიწყნარე იყო. ჩვენმა ბატარეიმ გაფანტა მტრის მუშათა ჯგუფი

იტალიის ასპარეზი.

რომი. 12 ნოემბერი. მდ. ბრენტისა და კარნის შუა საარტილერიო სროლა გრძელდებოდა. ხდება აგრეთვე ქვეითა ჯარის შეტაკება. მტრის ჰაეროპლანმა ჩამოყარა სამი ყუმბარა ტოლმეცოში, რამაც უმნიშვნელო ნივთიერი ზარალი მოგვაყენა. გორიცის ჩრდილო დასავლეთით მდებარე მაღლობებზე ბრძოლა წინანდებური თავგანწირვით გრძელდებოდა. ჩვენ განვაგრძობთ მთის ქედების აღებას. კარსოსთან ჩვენმა ჯარმა ცოტათი წინ წაიწია სანმიკელეს მთის რაიონში და ტყვეთ წამოვიყვანეთ 54 ავსტრიელი.

ცეტინიე. 12, 10, 11 ნოემბერს შავიზღვის ფრონტზე შესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა. ავსტრიელების ჰაეროპლანმა ყუმბარა ჩამოაგდო ჩვენს ბანაკში, მაგრამ სერიოზული ზიანი არ მოუყენებია.

პარიზი. 13 ნოემბერი. დღის ოფიციალური ცნობა. მთელს ფრონტზე სიწყნარეა. ვოგეზებში და განსაკუთრებით მდ. ფეკტის რაიონში დიდი თოვლი ჩამოყარა.

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული)

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 223)

„ბაღჩისარიას შადრევნის“ გმირი ქალი ზარემა თვითონვე გულახდილად ამბობს, რომ „ვნებისათვის დავიბადეო“,—როდესაც შუაღამისას გამოიღვიძებს და ეჭვს აიღებს, იგი სულ აუღელვებლივ ჰკლავს თავის მეტოქეს, რის შემდეგაც თავს არც თუ თვითონ ინანებს სასიკვდილოდ.

ამაზე უფრო მწუხრი ფერადებით დახატა პოლონსკიმ თავისი გმირი ქალი დრამაში „იმერეთის დედოფალი დარეჯანი“. იგი გატაცებულია ერთად ერთ დაუცხრომელ პატივმოყვარეობით. აზრმავენიებს კანონიერ ტახტის მემკვიდრეს შვილი-შვილს, არ ერიდება უმანკო ქალზე ტყუილად ბრალი დასდოს და ჩაერიოს იმერეთის თავადთა ვერაგულ კავშირში. რომ მკითხველის გაოცება არ გამოეწვია ამ დრამამ პოლონსკი გაისარჯა და წინასიტყვაობით გაგვიმასპინძლდა: „დარეჯანი,—ამბობს იგი,—როგორც მე წარმომიდგენია, ერთად ერთი ქალი როდია იმერეთის ისტორიაში, მაშინ როდესაც რუსეთში მას ჩასთვლიდნენ რაღაც ველურ მოვლენად“.

რუს მწერლების მიერ დახატულ ქართველ ქალთა ტიპებში თითქმის ერთად ერთ ბრწყინვალე გამონაკლისს შეადგენს თამარი, გუდალის ასული. მაგრამ თვით ეს ტიპიც კი, რომელიც ავტორის სიტყვით, „ეთერისაგან“ შექმნა, არ არის სრული და იქეთვე განყენებული, მიწიერი პიროვნებაა, როგორც უცნობი სახე დემონისა. აი, ამიტომაა, რომ ასეთ ზერელე და წინასწარ განზრახვის თანახმად მოპყრობა წარსულ საუკუნის სახელოვან მგოსანთა მიერ გვირდგენდა ქართველ ქალის ისეთს ტიპებს, რომელთაც არ შეუძლიათ ჩვენი დაკმაყოფილება და დაინტერესება. თვითოეული ტიპის დაკვირვებაზე უმალ ამჩნევთ, რომ აქ მწერალი იმავე შაბლონ მეთოდს მიჰყოლია, როგორც ველურ ბუნების და პირვანდელ მდგომარეობაში მყოფ მთიელთა ტიპების შექმნის დროს. ქართველ ქალს გამოუკრთოლეს დასავლეთ ევროპის რომანტიზმის სარკის სხივები და მას მიაწერეს ყველა ის თვისებანი, რითაც წარმოდგენილი ჰყავდათ აღმოსავლეთელთა ჰარამხანის ქალები. როგორც ერთგული მოწაფენი ევროპიული რომანტიზმისა რუსის დიდი მწერლებიც აღმოსავლეთის ადგილას კავკასიაში დაჰქროლავდნენ და ქართველ ქალის ხსენებაზე გონებით ირდგენდენ ბაირონისა და თომას მურის გმირებს, რომელთაც ვიცნობთ ზიარამისა, ზულეინქამისა და სხვათა სახით. საინტერესოა, რომ ქართველ ქალის დასახატად ეძებენ ჰარამხანის ფერადებს, მაგრამ რაკი ასეთი არ მოიპოვება საქართველოში, ქართველი ქალი მიჰყავთ ხან ყირიმში, ხან სომხეთში, ხან კიდევ სხვა ადგილებში, სადაც ასეთი რამ მოიპოვება. ერთ ასეთს ტიპზე უკვე მივუთითეთ გირეის ჰარამხანაში ბაირამზე. ლერმონტოვის მიერ დახატული „ქართველი ქალის ტიპი“ გვირდგენს მეორე ქართველი ქალის ტრაგიკულ ბედს, რომელიც სცხოვრობდა მოხუც სომეხთან „სულის შემხუთველ ჰარამხანაში“, სადაც იგი ნელ-ნელ სჭკნებოდა ყვავილსავით. დასასრულს იგივე პოეტი გვიხატავს სრულიად საწინააღმდეგო ჩვეულებას, რაიც ქართველთა ოჯახს—და ზნე ჩვეულებას არ სცოდნია არასოდეს. იგი თამამად ამტკიცებს, რომ თავად გუდალის ასულს, თამარს ქორწილის შემდეგ „მოელის ბედი საპყარ მხევლისა“-ო.

არა, რუსის მწერლები ცაში ჩამოკიდულთ დაემზგავსნენ. მათი მთიელი გმირები ტრაფორეტული ტიპებია. მათ მხოლოდ თავის მოკვეთა იციან და სისხლის სმა. ქართველი ზარმაცია, მთვლემარე და მუდამ ღვინით გამობრუჟული. რაც შეეხება ქართველ ქალებს, ესენი მხოლოდ ლოქებით დადიან, შეუძლიათ სიმღერა და ლეკურის დავლა.

წარმოვიდგინოთ ხელ ახლად, ვითომც გაჰქრა და დაიღუპა ქართული წყაროები, ქართული ნაშთები, ძეგლები, აღარავითარი მწერლობათა საბუთები აღარ მოიპოვება და მოითხოვენ ქართველთა ქალის ტიპის აღდგენა, რუს მწერალთა სურათების მიხედვით. თუ ეს ტრაგიკული წუთი დამდგარიყო, ისტორიკოსი წარმოგვიდგენდა ისეთს სურათს, რომ მნახველი შეძრწუნებული უკან გადგებოდა და პირს იბრუნებდა. ციური სიტურფე და დემონიური სახე შემკული ყოველგვარ ბიწიერებით,—აი რა სურათს აღადგენდა ისტორიკოსი.

ყველა დასკვნანი, რასაც ჩვენ დავადექით, გვითითებს იმაზე, თუ როგორ უყურადღებოდ, ხშირად ზერელედ ეპყრობოდნენ რუსი მწერლები აღმოსავლეთს. იმ ქვეყანაში, სადაც უხსოვარ დროიდან ქალის უაღრეს პატივისცემის კულტი იფურჩქნებოდა, მათ მხოლოდ დაინახეს ჰარამხანის გახრწნილი კეკლუცი ქალი. თვით საიდეალო და ყველა ქართველის მიერ გაღმერთებული დიდებული დედოფალი სახელოვანი თამარი წარმოგვიდგინეს მათ გარყვნილ ქალად, რომელიც ხელის აუღელვებლივ ახოცვინებდა შემთხვევით ნაპოვნ საყვარლებს...

მთელი კულტურა, მთელი მსოფლმხედველობა ქართველებისა ატარებს ქალურს ხასიათს. ამაღლების შემდეგ მოციქულნი შეიკრიბებიან ერთად და წილს იყრიან, ვის რომელი მხარე ერგება საქადაგებლად. ღვთის მშობელს წილად ჰხვდება საქართველოში ქადაგება. ის ის იყო უბიწო დედა უნდა წამოსულიყო საქართველოსკენ, რომ ქრისტე გამოეცხადება და უბრძანებს თავის მაგიერ გაჰგზავნოს ანდრია პირველ წოდებული. ამნაირად, იმავე თავიდან ვხედავთ, რომ საქართველო ქრისტიანობის ნათელს იღებს განსაკუთრებული სახით, ღვთისმშობლის ერთგვარ მფარველობის ქვეშ.

შემდეგში უფრო საოცარს მოვლენას ვხედავთ. იმ დროს, როდესაც ქვეყანას და თვით საქართველოს მოსაზღვრე მხარეებში მამაკაცები მიემართებიან ქრისტიანობის საქადაგებლად, როგორც, მაგალითად, წმ. გრიგოლ განმანათლებელი, წ. თომა და სხვები, საქართველოს ნათელსა სცემს კაბადუკიიდან მოსული ასული წმ. ნინო. თქმა არ უნდა, აქ ჩვენ არ შეგვიძლიან ასლი ასლად დავუჯეროთ სათნო ავტორთა ნახევარ ლეგენდალურ გადმოცემას ამ წმიდანის შესახებ, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებოა ეს კეკლუცი თქმულება, თუ ცნობი, შორეული ქვეყნის შვილი როგორ აიღებს ჯვარს, საკუთარ თმით შეჰმოსავს მას და მოეშურება რელიგიურის ალტაცებით. ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია, უაღრესად საგულისხმიერო. ხალხური აზრი ამ თქმულებისა საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ნიშნობლივია როგორც სიმბოლო ქალის გამარჯვებისა ამავე მამაკაცზე. სწორედ ამიტომაა, რომ თვით მეფე მირიანი, ლეგენდის თქმულების თანახმად ეს ტიპიური ტლანქი წარმართი, მოქცევისთვის შესძახებს: „სადაა ნინო ჩვენი საყოველთაო დედა!“ და შედის წმინდანის ღარიბ ქოხში, მუხლს იყრის ნინოს ჯვარის წინ და ათრთოლებით შეჰნიშნავს: „ეხლა კი ღირსი ვარ შენი ღმერთისა და მაცხოვრის მონად ვიწოდებოდეო“.

საქართველოს გმირ ქალად, ამ ღვთის მშობლის სამფლობელოში, სადაც წმიდა ნინო დაამყნობს ქრისტიანობას, გამოდის მესამე ქალი, თამარ დედოფალი.

არ ვიცი, კიდევ საჭიროა თუ არა ზედმეტი სიტყვა დაიხარჯოს იმ უდიდეს მნიშვნელობის აღსანიშნავად, რაიც ამ გმირ ქალს ჰქონდა ქართველთა ეროვნულ პსიხოლოგიის განსამტკიცებლად! სპარსეთში გმირად (შიიტთა შორის) ჩვეულებრივ ასახელებენ ალის, მეოთხე ხალიფს, მაჰმადის მახლობელ ნათესავს. შიიტიზმის მთავარი შინაარსი ის გახლავთ, რომ ამის მიმდევართ სჯერათ ალის გაღმერთება. მათ სწამთ, რომ მის შთამომავლობიდან იშვება მაჰმადიანთა მხსნელი მესსია—მაჰმადი.

საქართველო სპარსეთის მომიჯნე ქვეყანაა. ამიტომ თამარ დედოფლის ასეთი გაღმერთების კულტი შეუძლებელია ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ მისი მეფობა მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და მის კულტურის უმაღლეს გაფურჩქვნის დროს.

თამარ დედოფლის კულტი ქართველთა სხვა და სხვა ტომში სულ სხვა და სხვა სახით დახასიათდა, სხვა და სხვაგვარი ფერადებით. იმ დროს, როდესაც ქართლში მას თვლიან როგორც უდიდეს დედოფლად, სვანეთში იგი ერთგვარ ფერიათა დედოფლის სახეს იღებს. ხევსურელთ შორის კიდევ თამარ დედოფალი ნამდვილი ღმერთ-თანასწორი დედოფალია და წმ. გიორგის გვერდით უკავია ადგილი. მიუხედავად ამ მრავალ ფეროვან სხვა და სხვაობისა არსად ქართველები თამარს თაყვანს მარტო იმისთვის არა სცემენ, რომ იგი უბედნიერესი ბრძანებელი და უძლიერესი ხელმწიფეთაგანი იყო. ხალხი მასში ჰხედავს უაღრესად აღმშენებელს, თლილი ქვის შენობათა ამგებელს, ციხე-ქალაქების განმტკიცებელს ქართველი ხალხის დასაფარავად. აი ამითი აიხსნება, რომ თითქმის ყველა უძველესი შენობანი მიაწერეს მას, უფლისციხიდან მოყოლებული დარიალის ხეობამდე *).

ვ. გურკო. რ.

(შემდეგი იქნება)

---

*) ავტორმა ფარგალი შეავიწროვა, „უფლისციხე“ და „დარიალის ხეობა“ მეტად პატარა კუთხეა იმასთან შედარებით, რაც ეპყრა თამარის სამეფოს რუკას.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დაწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für bie
russischen Kriegsgefangenen

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Génêve.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	—11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში

გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.

სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით ლ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.